წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სხდომის

ოქმი N2

18 დეკემბერი 2025 წელი **ქ.წალკა**

საბჭოს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე,
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მარიამ ლომთათიძე,
საბჭოს მდივანი მანანა გულედანი,
საბჭოს წევრები:

მელიტონ პაკელიანი
ჯემალი ბერიძე
ნუგზარი ჩამურლიევი
ლევონ მარკოსიან
ანტარამ მელტონიან
მარინე ირემაძე
ევგენია ფურცელაძე
ირმა ჩხეტიანი
ეკა ვიბლიანი
ფოტის ტერსენიდის
გიორგი პეპანიან
ნაზიბროლა კეკელიძე

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.
სხდომა დასრულდა 12:45 საათზე.

ანზორ ხინიკაძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

ამირან საყვარელიძე-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;

3. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ".

სხდომამ განიხილა:

1. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია დადგენილების პროექტის „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ განხილვა. რის შემდეგაც მომხსენებელებმა წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი დადგენილების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მარიამ ლომთათიძემ, მანანა გულედანმა, ნაზიბროლა კეკელიძემ, გიორგი პეპანიანმა. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (15 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად;

2. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ“. რის შემდეგაც მომხსენებელებმა წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი განკარგულების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მარიამ ლომთათიძემ, ირმა ჩხეტიანმა, ევგენია ფურცელაძემ, ფოტის ტერსენიდისმა. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (15 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ“ და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად;

3. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განხილვა. რის შემდეგაც მომხსენებელებმა წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი დადგენილების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს

წევრებმა: ჯემალი ბერიძემ, მარინე ირემაძემ და ეკა ვიბლიანმა.სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (15 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე